



1918 წ. № 6 კვირა, აპრილის 2

ფასი 75კაპ.

წელიწადი მეექვსე გამოცემის



არჩილ ჯორჯაძე
გარდაცვალებიდან 5 წ. გამო



პასუ
ოროცი წ. მოღვა-



პაპიძე
წებოლი გამო

ვინ უნდა ვიყოთ?!

ულო იწოდლა, ძნა იცინოდლა!
ხალხური,

ჩვენი ერისა და ქვეყნის ტრაგედია გნუ-
ზომელია: სამასი წლის წინად ოსმალომ
ჩამოგვქრა სამშობლოს ერთი ნაწილი,
სჯული შეუცვალა, დედასამშობლოზე გუ-
ლი აუყარა და დიდებული მესხეთი—აწ
სამუსულმანო საქართველო—თავის დიდე
ბულთა სახით ოსმაღეთისკენ იცქირება
დღესაც.

ას-ჩვიდმეტი წლის წინად საქართვე-
ლო „ერთმორწმუნე“ რუსეთს შეუერთ-
და ვითომდა თვით არსებობის შესანა-
რჩუნებლად, მაგრამ საბედისწერო იყო
ეს შეერთება: ჩვენი ერის მეორე მოწი-
ნავე ჩაწილი რუსული სულით გაიჟღინთა
ცხვი ს ისე არ დააცემინებს, რომ არ დაა
ყოლოს: შეგეწიოს რუსის მაღლიო!—და
თვალი ნიადგ რუსეთისკენ უჭირავს.

სხვა საქართველო სად არის,
რამელი კუთხე ქვეყნისა?!

ეს უენა ხარ ჩემო ძმაო, სოფლის
შრომის შვილო, უხსოვარ დროიდან
შენს სამშობლო მიწა-წყალზე მიკრუ-
ლო, ცოცხალი რომ მას დაჰხარი, შენი
ოფლით რწყავ, სისხლით აპოხიერებ—მო
ჰკვდები და მასვე მივბარები.

ქემმარტად, მხოლოდ უენზე ითქ-
მის—ეს არის მამულიშვილი, სამშობლოს
ზომველე-პატროინო!

მაგრამ... ერთი მიიხედ-მოიხედე შენს
საყვარელ მამულ-დედულში: მტერი შიგ
ნით, მტერი გარედან... სამშობლოს გუ-
ლში უამრ სამარეებს გითხრიან, სისხლის
მორცხს აყენებენ... შავი ზღვის მხრით
შორეული დამცემი გემუქრება, თეთრი
ზღვით—ქურქ შეცვლილი მტერ მოყვ-
არე...

და შენ ამ დროს რას შვრები?

გულ-ხელი დაგიკრებია და იძახი:
რაც ვიომე შეყოფაო—ანუ როცა მტერი
სოფელში შემოვა, პასუხს მივცემო, მაშინ
როდესაც შენი რჩეული შვილები ბრძო-
ლის აღში ეხვევიან, და ის კი გავიწყდება
როცა ულო იწოდლა, ხოლო ძნა იცინოდლა
ცეცხლმა ბოლოს ძნამდისაც უწია...

ის როდი კმარა, ჩვენი ქვეყნის ერთი
რომელიმე კუთხე შეებრძოლოს მტერს
ანუ მტრის წინააღმდეგ, მცირე რჩეული ნა
წილი, გავიდეს დღეს ისეთი დროა, რომ საქა-
რთველოდან ქუღზე კაცი უნდა გავიდეთ
ქრელი ფიქრები დაუთმოთ, სხვა და სხვა
თვალსაზრისზე ანუ პარტია-პურტიობაზე
ხელი ავიღოთ, ჩვენი მიწა წყალი და თა
ვისუფლება საკუთარი მკერდით დავიცათ
და დღემდე თუ სხვებისკენ გვეჭირა თვა-
ლი, დღეს ჩვენც ჩვენად ვიყოთ...

ვაცნათ თავი, დავიფიროთ ჩვენი კე
რა გარეშე და შინაურ მტრისაგან, რომ
ჩვენზეც ითქმოდეს:

იგი კაცია ვით შეჰფერის კაცსა კა-
ცობა!
იოსებ იმედაშვილი

ღმრთე!

დედაო ღვთისავე!—ეს ქვეყანა დიდ-ჭირნახული,
სიკვდილის პირად წამდგარია, ვით ავაზაკი,
ხელ სისხლიანი, თვალ ცრემლიან—ჟერ-დაჭმანული, —
ვინ უწყს რომელი არის „დათო“ ან „აღრაზაკი“?

ცა მიწასა მტრობს, გადევკიდა, და მიწა კი ცას!
„ამინ“ „ის“ მოჰკლა და „ეს“ კიდევ მესამის ხელმა,
ხალე მეც უნდა გამოვდარო ყელი ვილაცას,
ან ძმას შევაკლა ჩემი თავი, ცოდვებით ხელმა!..

ცოფი სჭირთ, ცოფი! სისხლს რომ ღვრიან ადამის სულებს,
დედაო ღვთისავე! გადმოხედე წრე-გადასულებს!..

კოკი ებრაჟიძე (ტაჯდა)

თ ე ა ტ რ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ მ ბ ა

თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებაში ხელოვნებას—კერძოთ თეატრს—ამის შესახებ ბევრი კარგი სიტყვა თქმულა და დაწერილა. და აქ არ მსურს მკითხველის ყურადღება ამაზე დიდხანს შევაჩერო. ყველასათვის ცხადია, რომ თეატრი დიდს როლს ასრულებდა და ასრულებს კაცობრიობის თვითცნობიერებაში, იგი მძლავრი იარაღია ადამიანის გონების განვითარებისა და ესთეტიურ სიამოვნებასთან ერთად იგი გვერგავს სიყვარულს მოყვასისადმი, გვასწავლის ძმობა-ერთობას დიად მნიშვნელობას. ასეთია თეატრის მნიშვნელობა კაცობრიობისთვის და ასეთივე როლს უნდა ასრულებდეს თეატრი ყოველთვის ადამიანის ცხოვრებაში.

და მგონია, ცოტად თუ ბევრად მართალი იყვნენ ისინი, ვინც რუსეთის დიდ რევოლუციის პირველ დღეს თამამად გაიძახოდნენ: „რუსეთის დიდ რევოლუციაში ჩვენ ხელოვანთ საპატიო ადგილი გვიკავია, ჩვენ ვასწავლიდით ხალხს თავისუფლების დიად მნიშვნელობას.“

მაგრამ აქ ზემოთ მოყვანილ დებულებას ბევრი განმარტება სჭირდება.

ხშირად თეატრი თავის დანიშნულებას სცდებოდა—იგი ადამიანის უბრალო გასართობ როლს თამაშობდა: წინად თეატრი თუ წინ უსწრებდა ცხოვრებას, ამ ბოლო დროს იგი არამც თუ გვერდში ეგრ მისდევს ცხოვრებას, არამედ კარგა მანძილით ჩამოშორდა და მაინჩაოასავით ნელის ნაბიჯით მიდის. მოსკოვი, რომელიც ითვლება რუსეთის ხელოვნების ცენტრად, ამ მხრივ ფრიალ დამახასიათებელია.

შექსპირი, შილდერი, მოსკოვის თეატრიდან განიღვენენ. მათი ადგილი ახალმა დრამატურგებმა დაიკავეს. მერე რა მოგვცეს ახალ პიესათა ხელოვნებამა,—რა შემატეს ნამდვილ ხელოვნებას, რა განძი შეიტანეს კაცობრიობის სალაროში?

ლიებ-მოტივი თითქმის ყველა ახალ გა-

მომცხვარ პიესისა—ეს ბურჟუაზიულ ოჯახთა აღწერა, სქესობრივი სიყვარული, ცოლ-ქმართ ღალატი. თეატრი ვერ ასრულებდა თავის ნამდვილ დანიშნულებას: იგი ვერ აწვდიდა ხალხს იმ სულიერ საზრდოს, რომელიც მას ესაჭიროებოდა. მერე რა დროს? იმ დროს, როდესაც მთელი განათლებული ქვეყნები ომის ქარცეცხლში იწოდნენ. ხაოხის ისა კიროლიბოდა ნამდვილ ხელოვანთა შემოქმედობით ცოტად თუ ბევრად შეიშალა იმ დროს მგ ტვირთი, რომელიც მას იწვევდა ზურავედ


არა, თეატრი გრძნობათა განსპეტიკებას მაგიერ თავის შემოქმედობით ამახინჯობდა მაყურებელთ გონობას. თეატრი ბურჟუაზიათან ერთად აწყდა კრუ პატრიოტულ გრძნობათა ჟღერას. გერმანიის ხალხის სიშხიცე, მათ კაცი კაპიობა ხშირად და ვისურაოის თეატრებმა გარეულ მტერზე მიგვიითიებდენ, რათა შინაური ხალხს დაეწყებოდა.

და არ შეიძლება თეატრს სხვა გზით ევლო ისე, როგორც ბურჟუაზიული დაწინებულება, თავის როლს პირნათლად ასრულებდა. იგი თავის კლასს ემსახურებოდა ისე, როგორც პატრონი უბრძანებდა, ბაზარზე გამოჰქონდა ის საქონელი, რასაც მეტი ფასი და შემოსავალი ჰქონდა.

შენიშნა. გამონაკლისი ყველგან არის, მაგალითად სამხატვრო და კამერნი თეატრი არ აწყვენენ სხვათა ფეხის ხმას და განაგრძობდენ თავიანთ ერთხელ არჩეულ გზას.

მაგრამ ტყვილად კი არ არის ნათქვამი: „ერთი დრო ბოლომდის არავის შერჩებოდა.“ ძველ წესწყობილების დამხობასთან ერთად ბურჟუაზიულ თეატრს ნიადაგი გამოეცალა. იგი სულს დაფას, მისი დღეები დათვლილია და რაც უფრო მალე ამოხდება სული მით უფრო კარგი ახალ მომავალ თეატრისათვის, რომელსაც ძლიერი დემოკრატია შექმნის.

ბურთიკა





ა შანიძე ე. ორბელიანი უზნაძე ახვლედიანი გ. ლამბაშიძე ი ყიფშიძე ქართულ უნივერსიტეტის პროფესორები

ქართულ უნივერსიტეტში

ბატონებო,

დიდის მღვდლები ალსავეც გამოვდივარ თქვენს წინაშე, რადგანაც გათვალისწინებული მაქვს ამ წუთის სილიადე) და განსაკუთრებულად ვაფასებ იმ პატივს, რომელიც წილად მხვდა მე.) ვხსნით ჩვენს საკუთარ ქართულ უნივერსიტეტს და ამით ხელახლად ვნასკვავთ ჩვენი ძველი კულტურის (მეწიგეტილ) ძაფს.

აღმოსავლეთის მხეზეო გაბრწყინებული კულტურა იგი უფრო მშვენიერდებოდა დასავლეთის აზროვნებასთან დაახლოვებით. ევროპა გვიცნობდა და ჩვენ მას ვუყვარდით. ჯერ კიდევ მე-13-ე საუკუნეში რომი გიგზავნიდა მისსიონარებს. მე-15-ე საუკუნეში ჩვენ უახლოვდებით საფრანგეთს—საბა სულხან ორბელიანი ელჩად მიდის ლიუდოვიკო მე-14-ესთან და თავის იგავარაკებში თითქმის ლაფონტენის გავლენითაც გაიმსკვალა. კრებინი თავის ტრაგედიის რადემისტის დედა აზრს სესხულობს ჩვენი ისტორიიდან.

უკანასკნელმა ასმა წელმა ძალაუნებურად დაგვაშორა საფრანგეთის აზროვნების თავისუფალ აღორძინებას. ესლა საჭიროა დაკარგული დროის მოგება.

ბედნიერად ვსთვლი ჩემ თავს, რომ მოვალეობად მარტუნეს თქვენ ფრანგული შეგასწავლოთ, რათა თვით დიდანის საშუალებით გაიცნოთ და იგემოთ მისი გენიოსობის ნაწარმოები. ნუ დაგვაიწყდება, რომ საფრანგეთის 1789 წლის წყალობითაა, რომ 1918 წელს გვაქვს თავისუფალი ქართული უნივერსიტეტი.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს აზრი თქვენც საკმაოდ გიწინამძღვრებხს და აღგაფრთოვანებთ.

ფრანგულ ენის სტორიის მოკლე მიმოხილვა.

გაღვიის ჰირველი მცხოვრებნი აღმოსავლეთიდან მოსული კელტები და იბერნი იყვნენ. იბერნი დასახლდნენ სამხრეთით, კელტები ანუ გაღ-

ები დაშვიდრდნენ ჩრდილოეთსა და შუა კულში და თავიანთი სსხელი უწოდეს მთელ ქვეყანას. მათი ენა იყო კელტური, რომელსაც ესლაც დახანაკებენ ძველ აზრობაში—ესლანდელ ბრეტანში. კელტურს დახანაკობდნენ გაღვლები იულიოს კეისრის მიერ დაპყრობამდე, 55 წ. ქრ. დაბ. რომაელებმა მოჭყინეს ასლ ჰროინტიაში თავიანთი ძეგლები და სკლავები. თანდათან რომაულთა გაღვლით მათ დაკარგათ თავისი ეროვნება, სხე-ჩვეულება და ენაც გაღვლები გაშვიდნენ ჰოეტები, სწავლულნი და განსაკუთრებით ვექილები, რომლებიც სსხელოუნად დახანაკობდნენ რომის სენატშიაც კი. კატონ ძველი ამობძს: „გაღვთა ერს გულით უყვრას ორი რამ— მამაცური ომი და მოსწრებული დახანაკაი.“ ეს ორმაგი ხასიათი ეტყობა ესლანდელ ფრანგებსაც. ჯათიურს დახანაკობდნენ გაღვლიაში ბარბაროსთა შემოსვლამდინ, 5 საუკუნეში ზოგიერთმა მოტანამა ააოხრა ქვეყანა, ზოგიერთმა კი იქვე დაბინადდა: ფრანგები ჩრდილოეთით, ვიზიგოთები სამხრეთით და ბურგინიონები სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს ხალხი ეო უმთავრესად გერმანულთა სისხლისა. ისინი იყვნენ მეტად ცოტანი და ერთობ ნაკლები განათლებულნი, ვიდრე გაღვები, ამიტომაც შეუერთდნენ მათ, მიიღეს მათი ენა და ამის მიზეზითაა, რომ ფრანგულ ენაში ძალიან ცოტაა გერმანული სიტყვა.

მათი ბატონობის დროს ჯათიური ენა ცოტად შეიცვალა, მაგრამ ხმარებაში დარჩა. ამხერი ამობძს: „ფრანგული ენა ჯათიურისა, კელტური სიტყვები დარჩენილა, გერმანული სიტყვები შემოსულა, ჯათიური სიტყვები თვით ენას მისი შემაღტენელი.“

841 წ. ლატერმა გაუმართა სისხლის მღვრელმა ომი თავის მძებს. კარლთ მელოტსა და

ლუდოვიკო გერმანელს. ამით გაიმარჯვეს და შემიდეგ წელს (842) სტრასბურგში ფიცი მისცეს ერთმანეთს ერთგულებისა და ქვეყნისა. ეს ფიცი რომელიც დღევანდელ დღემდე იმით შენახული, შესანიშნავი, რომ ერთი პირველი ძეგლია მდებარე ენისა ანუ რომაულისა. ეს ენა მომდინარეობს ზორდპირ ლათინურისაგან და სხვაზნაკო ენათ იყო მაშინ საფრანგეთში, იტალიაში და ესპანიაში ადგილობრივი ტყლილებით. საფრანგეთში კილოებმა სხვა და სხვაობა მიიღო. ჩრდილოეთისა და სამხრეთში, ჩრდილოეთის ენამ მიიღო სახელი რაილას ენისა და სამხრეთისამ სახელი რაის ენისა (პროვანსალურისა), პროვანსალური ენა იყო უფრო ლამაზი და მოქნილი, მაგრამ ჩრდილოეთის ენამ გაიმარჯვა და გახდა სალიტერატურო ენად საფრანგეთში. იმ დროს, როდესაც რაილის ენა ისახებოდა, და ლათინურს შორდებოდა გამოჩნდა ხალხი, რომელმაც მიიღო იგი და შეიტანა შიგ რამდენიმე ახალი გლეშენტი. ეს ხალხი იყო ნორმანები, რომელთაც მე-9-ე საუკუნეში პეგრეჟერ ააფხრეს საფრანგეთისა და ინგლისის ნაპირები, პარისსაც რამი აუტყეს და კარლა გულმართალმა ვერ შესძლო წინააღმდეგობა მათ, დასდო ხელშეკრულება მათ მთავართან როლფანდთან (611) და მათხრავთავისი ასული ვასელი, რომელსაც მზითვათ მისცა ნეუსტრის პროვინცია, დღევანდელი ნორმანდია. ამ შეკრებებმა მიიღეს ფრანგების ენა და უნე-ჩეულებს, ერთი სიტყვით გაფრანგდნენ.

ვიღებულ მამურობელმა ინგლისს მიადებინა ფრანგული ენა, რომელიც იყო იქა სამი საუკუნის განმავლობაში ოფიციალ და არისტოკრატიული ენად. ეს არის მიზეზი, რომ დღევანდელ ინგლი სურ ენაში არის ბევრი ფრანგული გამოთქმა. აგრეთვე შეფანდურებები (ტრუფერები), რომელნიც სწორდნენ რაილის ენით, იყვნენ ინგლისელ ნორმანელები შეფანდურეთა სიმღერებს, საგმირო ლექსებს მოჭევა სატირს, იგავ არაკი და ზოგები, მაგრამ ლათინური ხმარებაში დარჩა ეკლესიებში და სკოლებში.

ორი საზოგადოება იყო დაპირისპირებული: ერთი სურს რაინდული, ფეოდალური და საღმრთო შორე—საეკლესიო, საბერო და სასწავლო.

ეკლესიამ ლათინურის ენით შეინახა ანტიური მწერლობის ტრადიციები. გამართული იყო სკოლები მხოლოდ საყდრებსა მონასტრებში. იქიდან იყ-

ვნენ გამოსული იყვნენ იმდროინდელი მაღალ განათლებულნი პირნი. ზარბოის უნივერსიტეტი დაარსდა 1200წ. სორბონის სკოლა კი 1252 წ. დაარსა რობერტ სორბონმა, წმინდა ლიუდოვიკოს მოძღვარმა. პირველ მატრანეთა ენაც აგრეთვე ლათინური იყო; უფრო მონასტრებში იყო ბერი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, ლათინურით ეწერა მატრანეები ეს იყო ერის არქივი. მონასტრების გარეშე უზოგოერთი პირები მისდევდნენ მატრანის წერას. ვილარდუნის (1150-1213) და ჟუენვილს 1224-1315 როგორც რაინდებს ხმალი უფრო ემარჯვებოდათ, ვიდრე, კალამი და რაკი არ შეეძლოთ ლათინური წერა, მატრანებს სწავრდნენ მდებარე ენით და ამით მისცეს დასაწყისი ფრანგულს ზრდას. 14 და 15 საუკუნეში ფრანგული ენა ვითარდება აღმართებამდე. ამ დროს შეუდგნენ მის გალამაზებას ბერძნულ და ლათინურ სიტყვების ხმარებით. ამ მხრით ისე უზომოთ იხმარეს ლათინური და ბერძნული, რომ თითქმის გაფუჭეს ფრანგული ენა. საბუნდოვროდ ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა-მე-17-ე საუკუნის დასაწყისს სხარტული და მკათოთ გახდა. იგი ხელახლად დაუბუნდა ბერძნულ და ლათინურ ენას, მაგრამ უფრო აზრიანად და გონივრულად, და ამ ჟამად იგი მადღერბის დახმარებით სრულიად გარდაიქმნა. ამის შემდეგ რამზიუს დარბაზი საფრანგეთის გონებას აძლევს იმას რაც აქვდა მის მოხდენილობას და თავაზიანობას. საფრანგეთის აკადემიამ რომელიც მიერ დაარებული, იწყებს თავის როლს გემოვნებასა და სიტყვისწობის აზრიტრისას. კორნეი დასსვამს თეატრს თავის ძლიერ გენიალობის ბეჭედს და ეგვლათფერი მზადებას საიმისოდ, რომ ლიუდოვიკო მე-14-ის საუკუნე გახდეს განსაკუთრებით კლასიკურ ხანად ფრანგული ენისა და ლიტერატურისათვის.

ელისაბედ რაკლი მატონიშვილის ასული
პნ. ორბელიანისა



გარიყრაყი

ბურუსი

მონობაში მყოფ ჩავრულთა მხარეს სიცოცხლის ფირუზოვანი დღეები შავი, უფერული ჯანყით ემოსებოდა.

მხარე იმედოვანი, მხარე აღთქმისაკი ჯერ შორს იყო.

გემინავდა, კვენსოდა ბორკილ-გაყრილი ტანჯული არე...

მზე ფითრდებოდა, მზე ქლექდებოდა.

შორს ქალაქ გარეთ თავს იყრიდენ ერთი აზრით, ერთი იდეით გატაცებულნი მომავალ ცხოვრების შვილნი. და ბჭობდენ თავიანთ კარ-ვარამზე, თავიანთ უნუგეშო ყოფ აზე...

სოფლის ბელადი, სოფლის მებაიარახტრე, გაბროც აქ იყო. მალალ ტრიბუნაზე შემდგარი, ის თავის ტანჯულ მოძმეებს ასმენდა სიტყვას, სიტყვას ძღვევის, მომავლისას.

მისი გზა თვით ზღვის მქროლავ ტალღე ბში გამოიქედა, მისი სიტყვა მიწის სევდაში ნაწრთობ-ნადავია.

და სოფელიც უსმენდა მას, სხივოსან იმედებს იფენდა.

სოფელი იღვიძებდა, მედგრათ მკლავს შლიდა.

მაგრამ ვასცეს ბოროტი იუოდებმა და თავს-დაესხენ მტარვალები.

ბევრი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე შეეწირა მეფის დარაჯების ცივ დაუნდობელ ტყუას. ბევრი დედა ატირდა. ბევრი კერა გაცივა, ჩაფერულდა...

გაბრო შეიპყრეს.

ცივ და ნესტიან სკანეში მიუჩინეს ობოლი ნავთსაყუდარი.

მწარეა გშინ-ვდა ტყვე დაქრილი არწივი სოფლისა...

დიღი ყო მისი ტკივილები, მწარე იყო მისი სულის კვეთები,

და მიდიოდა ეს დღეები ჩუმად, უფერულად.

მზე კი არ სჩანდა.

მზე კი შორს იყო.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ შ ი

ცალ-ცალკე გამოჰყავდათ ტუსადები ვიწროთ დაკვიწულ სენაკებიდან.

ჩონჩხათ ქცეული პატიმარნი ხაზბათ დაეწაფენ მზის მაცოცხლებელ სხივებს.

ფიქრი ობოლი, ფიქრა სევისა შექრილილ ყო მძლავრად მათ არსებაში ჰყინავდა მათ ნეტარ წადილებს, მომავლის სხივებს.

აქ მოსულიყვენენ მათი მშობლები ტანჯვა ვარამში გაკელებულნი. წელში მოხრილნი მწუხარე დედები, რომელთა სახე გლოვის და უიმედო ცხოვრების დღეებს მწარედ, მწარედ დაედარნათ...

ქეთოც აქ იყო. ხელში პატარა ხონჩა ჰქონდა. უცდიდა გაბროც, თვალგბით ეძებდა ტუსადებს ათვლიერებდა.

აი გაბროც. ის უცბათ შეკრთა. თვალი მოჰკრა თავის ობოლ იმედს. მას ნება დართეს ექთვა მშვიდობა ნაცნობთათვის.

სიყვარულის სიტყვები ტუჩზე გაიყინენ. მათი სუნთქვა წააგავდა დაჭრილთა ოხვრას.

ისფერ აბრეშუმივით დაწვა სილაზე ქეთოს სხავი...

და გაბრომ დაჰკიდა ყელსაბამი თვისი კოცნისა და ყოველი მარგალიტი იყო მისი ტრემლისა...

ორივე ხელით მოსწია თვისკენ ქეთოს ტანი, რომელიც ლერწამსავით ირხეოდა და შესვა ნექტარი უკვდავებისა...

და გაღვივდა სიყვარულის თეთრი კოცონი...

აი განშორდნენ...

ქეთომ მას პატარა ხონჩა გადასცა... უბიდან ხეთისმშობლის ხატი ამოიღო, კრძალვით ემთხვია და შემდეგ გაბროს უბეში ჩაუღო.

ტუსადები შეჯგუფდნენ. დარაჯები ამოუყენეს და სადგურისაკენ გაისტუმრეს. მისტიროდა ქეთო. ობოლ მარგალიტებს აფრქვევდა.

განუზომელი იყო ქეთოს სევდა, ქეთოს ვარამი...

ი ს ე ვ ვ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

როცა მწუხარების და გლოვის ფარვანა თავს დასწოლოდა და მზეს ართმ ევდა,—გა-

ბრო გაირინდებოდა ერთ კუთხეში, ამოიღებდა ქეთოსაგან გადმოცემულ ბარათს და ცრემლებით ნამავდა... მისი გული კაჟით მკვებოდა იყო და არად ავდებდა შორს ჩრდილოეთში ტანჯვა-წამებს. ელოდდა სხივს განახლებისას, სხივს მოელვარეს.

და დადგა უამი ფირუზოვანი...

იფეთქა ტალღამ. ამძვინვარდა და კიდეებს გადასცდა...

დაემხო ოქროს კერბი, ფუფუნების ბუდე.

შეიქრა სატუსალოს კედლებში, წილგწ-მოლენა ბორკილები, და თბილმა სხივებმა საკანის მუღამ კვარტლიან, ბნელით მოცულ კედლებზედაც გათამაშეს,

და დაუბრუნდა გაბრო თავის სოფელს, თავის მთებს. კეკლუც და ზურმუხტოვან საქართველოს...

ისევ აქ არის. მშობლიურ მხარეს. აქ იტყვის სიტყვას, ზვარჯკად შეეწირება მის კეთილდღეობას.

ქეთოც ხომ აქ არის. აქ არის...

და ძალა ემატება, იმედები ეფრქვევა... და კვლავ ნეტარი გიზაფხული, ისევ მოცეკვავე სხივები...

ისევ ყვავილები.

ისევ გაზაფხული.

უ ფ ს კ რ უ ლ ი

დრო კი მიდის. მიაბაჯებს მღვეურ ნაბიჯებს.

შავი ბურუსი ისევ ევლებს მხარეს წამბულს, მხარეს დავრდომილს...

სოფელი დაიბნა, სოფელი ძალს კარგავს.

მზის ოქროს სხივებმა ვაი რომ უნუგეშოთ გაუყინა ნეტარი წადილები.

ამოტივტივდნენ გველ-ბაყაყები და ქვემძრომნი,

გაბრო ინთქება ამ მღელვარე ზღვაში, იძირება. ძალა ელევა, იმედები ეფერფლდება.

სოფელი კვნესის, მწარედ გმინავს.

ისევ ოხვრა მარად გლოვავ ვიში.

შავი ძაღლები სულს უხუთავენ, მზეს უბნელებენ.

უფსკრული დაუსრულებელი, უფსკრული საშინელებისა გულ შემზარავად ხარხარებს, თვისკენ იწვევს.

გაცრუვდა იმედები.

ახალმა ხანამ ახალი ტანჯვა. ახალი ვაება მოუტანა მას.

ჩაიძირა შუქ-მოელვარე იმედების იალქანი ზღვის მღელვარე ტალღებში.

გაბრო დაილა, მოიქნცა.

სხივები ქქრება, სხივი ეფერფლდება.

და სოფელიც უცდის მომავალ შხალს, მომავალ მზეს... უცდის... დაუსრულებელია მისი ლოდინი...

ს. ტაიფუნია

ჩვენი სიყვარული

თუმც ჩამობნეულა, ცა გამოშვდა და შიკოთბო ქეკვის საზარლად და დაშე შავი კაქშიანი, შელაშუენება გულ ტასბრაზად, თვალს ძლივს-და ფასელ და საძნელაა ტანება გზისა სახატრელისა; ბნელს დაუფარავს და აღარ მოსჩანს სადგომი სატრეო საუვარელისა, მაინც იმედი არ შეკარგება, დამეს სტვლის ხელზე უბეჭვლად დდე, მწამს და თამამად მივაბიჯებ წინ ბუნების წიგნი მე წავიკითხე.

თვალწინ მიშლია ცხოვრების ველი, ზედ სასაფლაო, ზედვე წალოტი: ერთს ია ვარდის თაზუ გვირგვინი, შეორეს გველი გულის დამკლდი. ცხოვრების შვილთა სიცილ-ტირილის საბუთებს ვეძებ, სად, ვის ხელშია... ერთი რომ სტებება, იმ დროს შეორეს ცრემლი რათა სდის მხარხილს წელშია? ვეძახი მოძმეთ, მსურს ახლო მივადნენ, შემომიერთონ თვის გულის თქმანი... ამ დროს ცა გრგვინავს განრისხებული, აღარ ისინიან ძახილის ხმანი... მაინც იმედი არ შეკარგება. ვიცი ამ დღესა მოსდევს კაი დდე; მწამს და თამამთ მივაბიჯებ წინ, ბუნების წიგნი მე წავიკითხე.

გუხმობ, ვუძახი, ვისაც ვეძახდი და კვლავც დავეძებ ვისაც ვეძახდი. დამადგე, უური მომესპას, გრძნობა, თუ ერთის წუთით ბედსა დაწებდი. ცამ დეჭ, იტქქოს, დეე დაწნელდეს ხომ უნდა გაეფლო გზა გასავალი? აქ ვით გაწერდდე, რის სხვა განიწვეს, იწვეს და მისმობს გული და თვლი! მიტომაც არის, რომ ვერ მაშინებს დამის სიბნელე, — მას მოჭეუება დდე; მწამს და თამამად მივაბიჯებ წინ, ბუნების წიგნი მე წავიკითხე.

მ. ველისტიცელი



გობლა დალაიაშვილი. გარდ. 40 დღის შესრ. გამო.

წავლიან დრონი, დავიქანცები
 მე შენზე ფიქრით, შენთვის წამებით
 და როს ჩემს სახეს ნახავენ სხვები
 სიკვდილის ფერი შემოლამებით,
 იქნება ვინმე და იმათგანში
 სასიყვარულოს ჩამოკრავს ზარებს.
 შენზე ოცნება მაშინ ჩემ თავში
 კვლავ ვარსკვლავივით გაიფლვარებს,
 მაგრამ იქნება ვეღარ შევიძლო
 ჩემი ოცნების წმინდა ლამბარო
 და ჩემ უბედო ბედის სასაქო
 უცხოს სიყვარულს გადავებარო.

გაივლის ხანი... წავლიან დრონი
 ჭაბუკურ გზების ცეცხლი მისწყდება
 და მაშინ ჩემი ტრფობის საგანი
 იქნება კიდევ დამავიწდება

და როს სიკვდილის ცივი ზამთარი
 დაიმორჩილებს სიცოცხლის ზაფხულს
 და სარეცელში განსასვენებლად
 მე განვამზადებ შენთვის დამწვარ სულს
 კვლავ გაგიხსენებ კარგო და მაშინ
 ჩემ წინ ავანთებ შენს გრძნეულ თვალებს
 და მოგონება ჩემს ოცნებაში
 ძვირფას ლეგენდათ გაიბრწყინვალებს.
 შენთან სიცოცხლე იქნება მაშინ
 უკანასკნელი ჩემი სურვილი
 და ამ სურვილით დავხუჭავ თვალებს
 სიკვდილის ძილით გადაბურვილი

მშვიდობით ტურფავ! უკანასკნელად
 გამომიწოდე ძვირფასო ხელი,
 ჩემო სიცოცხლე გულდ-საწველად
 ღიმი მაჩუქე უკანასკნელი.

სინონ შველი

გ ა მ ო თ ხ ო ვ ე ბ ა

აჰა, გზორდები. უკანასკნელად
 გამომიწოდე ძვირფასო ხელი.
 ჩემო სიცოცხლე, გულდასაწველად
 ღიმი მაჩუქე უკანასკნელი.

უკანასკნელად მითხარ: მშვიდობით,
 ო, რა მაწუხებს გამოთხოვება:
 მცივა... სახეც კი გადამეყვითლა,
 თითქოს სიკვდილი მიახლოვება,
 მშვიდობით ტურფავ! მე სიკვდილამდი
 გზორდები, მაგრამ ვაი ჩემ ყოფას,
 ვიღას შევჩვილო ჩემი ოცნება,
 ვინ ანუგეშებს ჩემს მარტოობას!
 ვის უნდა უთხრა ქებათა ქება,
 ვის დაუწერო საგალობლები?
 დავრჩებით მარტო მე და ოცნება
 ვით ვლიბოსის ჩვილი ობლები
 და მერე. . მერე, მარტოობაში...
 ო, ღმერთო!.. ფიქრიც კი მეზარება
 ვიტირებ, როგორც უმწეო ბავში,
 გული ცრემლებით დამესარება



ბელნიერი ქალი

გაგრძელებს. ის. ,,თ. ც.“ № 5

სცენა 5

ივინიფე და მხარგელაძე

მხარ. (გაჯანჯრებული შემოდის, ქუდს ექებს და თავისთვის ღამაწაკობს) ო ქალებო, ქალებო, რა ხართ! ვისზე გამცვლდა იმ გველმა? ვილაც გაძენძილ სუდიზე. ო ქალებო, რა ხართ, რა ხართ? (იღებს ქუდს და უნდა გავიდეს)

ივინე (მხარგელაძეს) კნიაზო, ერთ წამს აქ მობრძანდით. ვახდით ჩემ უბედურების მოწამე.

მხარ. (გაჯანჯრებული ან უეუფებს ფეთთანძეს) უკაცრავათ ბატონო არა მცალიან, ძრიელ საჭირო საქმე მაქვს.

ივინე ერთ წამს, ბატონო, მხოლოდ ერთ წამს შეიტყუეთ ჩემი უბედურება. მამა ჩემმა ამ ვექსილის მეტი არა დაშითვარა და იმაზედაც უარს მეუბნევიან, უნდა მიშველოთ. შიმშილით მოვცვდე, მეტი ღონე არ არის, აძლევს მხარგელაძეს ქადაგდს.

მხარ. ტყუილად სწუხართ ბატონო: თქვენ უნდა მოგცეთ ფეთთანძემ ამ ქალღმერთს ათასი თუმანი, თქვენ შეგიძლიანთ იჩივლოთ ატყცვლდება თავისთვის სიხარულით დავითვერ... მადლობა ღმერთს, რომ ტუტუცობას გადავრჩი... სოფიო რომ შემერთო, ხომ მთლად და ვიღუპებოდი, უნდა გამეყიდნა იმის მიმული და ამ ქალისთვის ათასი თუმანი მიმეცა... ათასი თუმანი!.. ვინ იცის მთელი მამული არც კი ღირს ათას თუმანთ... კინაღამ გოახა შევირთე ცოლათ. აღელვება ჭკუას მირვეს ღმერთმანი, ძლივს ვღგვევარ. ვბარბაცებ ადუღვებუჯის ხმით ივინეს. თქვენ უნდა იჩივლოთ, მოსთხოვოთ ათასი თუმანი.

ივინე მტირალის ხმით ვინა მყავს პატრონი მე უბედურს! სასამართლოს გზა არც-კი ვიცი.

მხარ. სახარუჯით, ჩემი ვალია თქვენ გემ სახუროთ. თუ ნებას მომცემთ, იმით თქვენ გამაბედნიერებთ.

ივინე არა, არასდროს თქვენ არ შეგაწუხებთ. მეტად ეხლა ვერ გავბედავ თქვენ შეწუხებას.

ხებას. უეჭველია, კარზე საცოლვე გელისთ მოუთმენლად.

მხარ. უარს ნუ მეუბნევით, ნუ მიკლავთ გულს, მე საცოლვე არავინ მყავს. ჩუმათ ტკბილ დიმილით თქვენს გარდა.

ივინე ჩუმათ ფეთთანძე ხომ ნახეთ, როგორ ჩქარა ავადებინე ხელი სოფიოზე.

ფეთ. ივინეს არ ვიცი, ღიწრთმანი, როგორ გადაგიხადოთ. მაცხონეთ რაღა, მაცხონეთ!

მხარ. ივინეს თქვენ ხომ იცით, რომ ორგულმა სოფიომ მიღლატა. მე მეზიზღება აქ დგამა. მიბრძანეთ როდის და სად გნახოთ.

ივინე მორცხვით წიგნით შეგატყობინებთ მხარ. მოუთმენლათ მოველი თქვენ წიგნს სულზე ჰკატნის და გასვლას დროს თავისთვის დაწვევლილი რა ღამაზია! არა აქამდე როგორ ვერ შევნიშნე! გადის

ფეთ. ერთი ვნახო სარ წავა ის ძაღლის წიწილი! როგორ აშკარათ ეტყობოდა, რომ მარტო მზითვისთვის უხდოდა ჩემი ქალი. ვექსილი რო ნახა, ცოტა მაინც დაფიქრებულიყო, მაშინვე უარი სთქვა, ასე გგონია ის ვექსილი ხელმწიფის ბრძანება იყო: კნიაზო, მხარგელაძე, ჩამოგახჩიოთ თუ სოფიო ფეთთანძისა შეირთო, მაგრამ რას დავსდევ, უნდოდა იმ ცეკ-ფანტურას! თავიდან ხომ მოვიშორე და მეც მეტი არაფერი არ მინდოდა, უკან კი არ დაბრუნდეს ის ვშმაკი. გადის.

სცენა 6

ივინე მარტო ოპ, ფულო, ფულო, რა ხარ! ეს ამაყი ფრანტი ზედაც არ მიყურებდა, ღარიბათ რომ მიცნობდა და ეხლა-კი რაკი ნახა ჩემ ხელში ვექსილი, სულ ჭკუა გონება აერიო, არც კი იკითხა, რა ხასიათის ან ჭკუის ქალი ვარ, მაშინათვე სიყვარული გამომიცხადა, მინდა შევირთო, მაგრამ მაცადე, შე საბრალოვ, ეხლა ჩემი ჯერია ავიწიო შენზედ ცხვირი. ამ ქალღმერთს როგორც ჯაჭვით დავიბავ ბევრს სხვას მხარგელაძეზე უმჯობეს საქრმოებს და მაშინ ამორჩევა ჩემი იქნება. მადლობა ღმერთს, არც შეხედულობა და ჭკუა მაკლია. მე დარწმუნებული ვარ არავინ არ დამიწუნებს. გაგა.

სცენა 7

სოფიო, მეჩე ბამბაშვილი

სოფ. დასწყველოს ღმერთმა მხარგელაძე. ძლივს არ მოვიშორე თავიდან, არ მეშვებოდა, უნდა შევიტოო, რადგან შენის სიყვარულით ვგიჟდებო და თუ უარს მეტყვი, მე შენ საქრმოსაც მოგვლავ და თავსაც მოვიკლავ რომ იმის სიშამაცე ვიცი ბაყაყებისაც კი ეწინიან, აბა რა საკვირველია, ყურს ვათხოვებდი იმის მუქარას!

ბამბ. შემოდის ბავჯავით კნიაუნა, უკაცრავათ რომ გაწუხებთ ესე ხშირ-ხშირ ხლებით, მაგრამ უნდა იცოდეთ ჩემი ღვთმარებობა, რომ მაპატიოთ. ყველა ჩემი საქმე, ყველა ჩემი სიამოვნება გაჰქრა, რაც აქეთ გადმოვსახლდი: სამსახური დამავიწყდა, ქალაღდის თამაშობა აღარ მასიამოვნებს; სხვა რამ ამ ქვეყნაზე არც იზიდავდა ჩემ გულ-ყურსა, შრომის შეილი ვარ, ღარიბ აზნაურმა თავის ჯაფით გავიგნე ცხოვრების გზა, ეხლა-კი მუშაობაც დამავიწყდა, ჩვენი პოეტის სიტყვებს მეტი აღარაფერი არ მახსოვს:

ფიქრები მაქვს, სულ თქვენი სახე მოდის, მინდა რამ ვსთქვა, თქვენი სახელი მოღის. გინდ მეძინოს, მინც სულში მიზიხართ, თვალს ავახვლ წამწამებზე მიზახართ. რა იყო ჩემი სიცოცხლე აქამდე? ტანჯვა, ტანჯვა და მარტო ტანჯვა! მერე ვიფიქრე: მეყოფა ამდენი ტანჯვა, საკმაოთ მაქვს შეძლება შიმშილით მოგვედები; ეხლა ჩემი სულა და გული მინდა დავატებო მეტეკი, სარგებლით დავებრუნო, რაც ყმაწვილობაში ამცდა მეტეკი, ენახე ანგელოზი და ქუა დავეკარგე! უნდა დაიხაქოს. ამ ღრმს შემოვა ირინე.

სცენა 7

ივინივე და ირინე.

ირინე ქალო მამა დაგეძებთ, სიხარულით არ იცის რა ჰქნას! რაღაც საიდუმლო უნდა შეგატყობინოთ.

სოფ. ბამბაშვილს. დამიცადეთ ეხლავე მოვალ, გადის.

ბამბ. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თავისთვის ნეტა ამას არ ვხედავდებ ხოლმე აქ. ვინ იცის როგორ დამცინის: ცბიერი ქალია, ნეტავი ჩემ სოფიოს ჰქონდეს ამის ეშმაკობის მეთედი.

ან ნეტავი ეს წყეული ირინე სოფიოს ადგილს იყოს სულ მთლად შევიშლებოდი! უიმისოდაც ჩემ ჭკუაზედ არა ვარ.

ირინე მორცხვით კეკლუტათ. თუ არ შეგაწუხებთ, ერთი რამ უნდა გკითხოთ, ბამბ. ბრძანეთ.

ირინე თქვენ სულია ბრძანდებით თქვენ გეცოდინებათ, ამ ბარათს ძალა აქვს თუ არა? ბამბ. ვექსილს უფურებს დიახ ძალა აქვს, თუ.. აკანკალებული თუ ამას მომცემს სხვა კიდევ, ვექსილები დაურიგებია.

ირინე ეგ თქვენ კარგათ გეცოდინებათ, ამ ბარათის მომცემის სასიძო ბრძანდებით.

ბამბ. სასიძო? არა არა. ეგ ვინ მოგახსენათ! მართალია ლაბარაკი იყო, მაგრამ... მე ამ ბარათისაც არაფერი არ ვიცოდი. ვინ იცის მაგისთანები რამდენი დაურიგებია ბებერს. ჩემთვის არაფერი უთქვამს (თავისთვის) დასწყევლა ღმერთმა, ვინ დამარწმუნა, რომ ფეთიანიძე უვალოა. გიჟიც ვიქნები, თუ შევიტავ. ძლივს ორიოდ გროში მოვაგროვე. ეხლა ცოლად ვალი უნდა შემერთონ სადაურია. ვინ დაუთმობს! ქუდს იღებს უნდა წავიდეს უკან ბრუნ ღება უკაცრავად კი არ ვიყო ბატონო, ერთი კიდევ მიჩვენეთ ეგ ბარათი. იქნება ვცდები სისჯავს ბრძანთ. თავისთვის. სწორეთ იმის ხელია, ფეთიანიძის ხელია აი შეარცხვინა ღმერთმა! ასი თუმანი რომ აეღო კიდევ არაფერი; მაგრამ ათასის აღება რა ღვთის რისხვა!

ირინე თავისთვის დტინეთ. საწყალი ყმაწვილი კაცი, როგორ ჩქარა მოსტყუვდა! მაგრამ არაფერია, გაიზღება ჭკუას ისწავლის.

ბამბ. ცოტა ფიქრის შემდეგ მე, ტუტუტს, მართალი არ მეგონა! ამას ძალა აღარ უნდა ჰქონდეს.

ირინე რატომ ბატონო?

ბამბ. ამიტომ რომ ეს ქალაღდი იმის ხელში უნდა იყოს, ვის სახელობაზედაც არის დაწერილი. რაკი ფეთიანიძის სახელშია, სჩანს ფეთიანიძეს ვალი ვადუხნია, ბარათი უკან მიუღია და დავიწყებია ქალაღდის დახევა. მიკვირს თქვენ საიდან ჩავივარდათ ის ხელში.

ირინე ეგ თქვენი ფიქრი უსაფუძლოა, ეგ ბარათი ჩემ განსვენებულ მამის სახელობაზეა.

ბაბ. თავისთვის. ეჰ, მე უბედური! უნდა გავიდეს მაკრამ სად მივდივარ, მაშ რის კანონის მკოდნე ვარ, თუ რომ ჩველა უბედურებაში ხრიკს ვერ მოვიგონებ, უნდა წავიდე ფე თიანიძესთან, უნდა რამე მოვახსრხო. უნდმ გა-
 იდინე ეჰ, ბატონო, ცოტა კი-დეე მინდა შეგაწუხოთ. თქვენ სუღია ბრძანდებით, ყველა გეცოდინებათ კანონებში, და მე კი ოხრად დარჩენილი ქალი გახლავარ, საქმეები დახლარ თული მაქვს; მე, მარტოკას, სხვის დაუხმარებლათ რიგზე ვერ მომიყვანია.

ბაბ. სიცილით თავისთვის. ჩემ საქმეში მე-
 ვე მბატოქობს მოსამართლეთ, ირინეს დიდის სა ამოვნებით ბატონო, მხოლოდ ეხლა მეშურება. დღეს ფეთიანიძე არ მინახავს.

ირინე აჰ, ისე მოწყალეთ რომ ბრძანდებოდეთ და რომ გაგვაბედნიეროთ, გვეწვიოთ ჩვენს ქოხში, დედასთავ; არასდროს არ დამავიწყდება ეს ბედნიერება.

ბაბ. ტუბიჯად. არა, ბატონო, ჩემთვის იქ ნება ბედნიერება ბედნიერება თქვენთან ხლება. ჩამთვალეთ მე თქვენ მოსამსახურეთ, ერთგულ ძალათ. თავისთვის. რას ვამობ არც კი მესმის. წყუელი რა მიმზიდავია! რა მიმზიდავია! ჩემ ცივ ქათამს სოჟიოს არასფერი არ უგავს, თქვენმა მზემ, სრულიად არასფერი.

ირინე აჰ, რომ დანებოთ თავი მაგ კომპლიმენტებს და ერთი წამით წამობრძანდეთ ჩვენსა, მაშინ დავრწმუნდები, რომ ეგ თქვენი სიტყვები ცარიელი სიტყვები არ არიან და თქვენ ნამდვილი პატივისცემა გაქვთ ჩემი.

ბაბ. თავისთვის. ვერ ვეწინაღმდეგები ამ ტკაილ ხმას, ალერსიან მარილიან სახეს! ისინეს მზათ ვარ ყველა დავივიწყო თქვენი სურვილის ასასრულ ბლათ. მიბოძეთ ხელი და წავიდეთ! თავისთვის. როცა ამ სიმშენიერეს დაემატა ათას თუმნიანი ვექსილი, მაშინ აბა ვიდას აგონდება სოფიოსთანა ტიკინები მხარგეჯადე ჟანჯარადან იხედება.

ირინე შეაბას ისურავს. თავისთვის. დედამ გამომავლო, ბინა იშოვნეო, აი ბინა ვიშოვნე სწვენებს ბამბააშვილზე. და მიმაქვს დედასთან. უმეკვლია ის კარგათ გახდება, რადგან კარგი ბინა ვიშოვნე, თქვენ დამერწმუნებით. ხელს აქვს ბამბაშვილს და გადიან.

სცენა 8

მხარე. ჟანჯარადან იხედება. დასწყევლა ღმერთმა ბამბის ტომარა! კვილორობისგან ხელს არ იღებს ეს ბებრუცუნა, თითქო ძალად მე-
 ჯიბრება, ყველგან საცოლეს მართმევს. ღმერთი არ გამიწყრება საშინლად მივბღერტავ.

მარდა

დასასრული იქნევა

8. თუმნიშვილი

მოკრალი - სიმატლის მკანელი

ვაქო, სიმირთლის მძებნელო, რითვის დადიხარ მთვრალიო?—
 ხელში ავიღავ ბერდენკა, წელზე შაგირტყამ ხმალიო! საფლავის მახარობელი, რად გინდა იხნალიო, ვინ მოგილოცავს კაცობას, შენ რომ ძმის სისხლი დალიო?! შენვე გატირებს ბოლოსა ეგ შენი სამართალიო; რომ არ გადიქცე მხეცათა, იმდენი უნდა დალიო, არ დაგაყვედრონ ფხიზელსა უმგზავსო საქციელიო, ძმაო გენაცვლე, მკითხველო, არაყი აღარ დალიო! დღეს ჭკუა კაცის თოფია, და ენა ბასრი ხმალიო, ეს გითხარ იყავ ჩახმახად როგორც კვესი და ტალიო, და თუ ამას ტყუილს ვამბობდე, გინდა მომთხარე თვალიო!..

გასო აფტიაურო

ფშა ური ღვექსები

კარგ ყმას შეჭყვარდი ქალოა, ნურც ცუდსა მდიდარისასა, კარგი ყოფა და ცხოვრება მუხლს მააქვს კარგი ყმისასა.

*

ამიყვანე, წამიყვანე, წითელ ქუდავ, ცხენიანო, ამაზედ მეტს ველირ გეტყვო პატარა ვარ ზცხვენიანო.

ბექ. ბელოვანი

სამშობლო ხელონევა



ძუკუ ლოლუა

დასავლეთ საქართველოს სახსურ მომდგრადთა
გუნდის ლატბანი.

ქვეყნად რომ სიბნელე მოიფინება, ჰინვა გამეფდება, ყოველნი სულდგმულნი გაითოშებიან, გააზნევედებიან და სასო წარკვეთილნი, ურთიერთს დაერვეიან მშენ მზეა საჭირო თვისი უკვდავ სხივებით რომ ყოველი გაათბოს, მოაღმობიეროს, ერთმანეთს დაუახლოვოს, სიცოცხლე მოაწყუროს და შეაყვაროს...

სწორედ ასეთი მზეა კაცთა ცხოვრებაში საზოგადოთ ხელოვნება, კერძოთ მუსიკა—სიმღერა გალობა, დაკვრა... ეს არის, რომ სხვა და სხვა სჯულის, რწმენისა და ეროვნების ხალხს აღამაღლებს, გააერთიანებს, გაათბობს, გრძნობა გონებით განასპეტაკებს, ერთ ოჯახში—სულთნის სიტყვების ოჯახში—თავ! მოუყრის და შევებით აღმოაჩენენ მს:

მეც აღამიანი ვარ!

ამ შემთხვევაში ხალხისათვის უმეტეს დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ-მშობლიურ მუსიკას: სიმღერა, გალობა, დაკვრა ხომ სულის იდუმალი მეტყველებაა, სულთან სულის გადამბმელი, საიდუმლო ენით მოუბარი და აღამიანი რომელ ენას უფრო აღვიღაღ გაიგებს, თუ არა მშობელ დედისას?!

ვინ არ იცის, რომ წარსულში ჩვენს ერს დიდი მდიდარი სიმღერა-გალობა ჰქონდა, რომლის ნაშთი დღესაც ხალხში მრავლადაა განხეული, მარამ მისი აღორძინება განვითარება რუსთა ბატონობის ხანამ შეიჩერა, რათა ერი, ხალხი სულიერად მოკვლა.

მაგრამ საბედნიეროდ უხეშმა ძალამ სრულიად ვერ მოგვსპო და დღეს ამ დარგში თვით ხალხისავე შვილები გამოდიან სამშობლო ხელოვნების საღიდე ბლად!..

ერთი ასეთთაგანია ძუკუ ლოლუა, რომელიც ოც წელწადზე მეტია რაც ამ აპარეზზე მოღვაწეობს დიდის გაჭირვებით, მაგრამ უზომო სიყვარულით.

რამ გაიტაცა ეს კაცი ასე და რა სურს?!

იგი, ვითარცა ჩვენი ხალხის გულიდან გამოსული ეროვნულ-ხალხურ ნიღაგზე აღზდილი, მწუხარებით უყურებს იმ გარემოებას,

რომ „ივიწყებენ ჩვენ ძველის-ძველ, მამა-პაპათა გდმოცემულ სამღერებს, რომელთა განხილვა ჩვენ ბევრ სარგებლობას მოგვიტანს როგორც კულტურის მხრით, ისე ეთნოგრაფიულად.. რა თქმა უნდა, ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ უცხო კულტურის, მაგრამ ნათქვამია: ჯერ თავო და თავო... ამიტომ საჭიროა ჯერ ჩვენი მამა-პაპათა სიმღერები დავაშაგვოთ და მერე უცხო სიმღერებს მოვკიდეთ ხელი“

ძუკუ ლოლუა ამ მიზნის განსახორციელებლად, როგორც ვსთქვით, ოცი წელიწადი მუშაობდა, დაუხარვლად ხელმძღვანელობდა ხალხურ მომღერალთვისგანვე შემდგარ გუნდებს, მაგრამ ხო მოგხსენებთ, ერთი კაცი ჭამა შიაც ბრალია და, რა უნდა გააწყოს ერთმა კა მამა!.. აქ საჭიროა საეთთო ძალღონით შეთანხმებული მუშობა, რომ ასეთ თავ გამოდებულ მუშაკთა შრომის ხვაიცი დიდი გამოუჩნდეს. მისი რწმენით, ყვილა დაბა ქალაქსა და მოზდილ სოფელშიაც უნდა დაარსდეს ადგილობრივი ხალხურ მომღერალთა გუნდები, რომელთა ხელმძღვანელობასაც, თუ საჭირო იქნება, უსასყიდლოდ კისრლობს თვით ძუკუ ლოლუა

ნამდვილი ჩვენი ხალხური სიმღერა-გალობა ნაზია, სათუთი, მას დიდის სიფიხილით და მორიდებით უნდა მოპყრობა, რომ არ შეირყვნეს: აქარ კმარა მარტო თეორიულ-ტექნიკური ცოდნა, არამედ საჭიროა ნიჭი მშობ. სიმღერებს შეგრძნებ-განცდა, მის მრავალფერადობის განსახიერება...

მხარი, მხარი მიეცით ხელოვნების ასეთ მუშაკთ, რომ პოლიტიკურ განახლებასთან სულიერ-გონებრივ-წინეობრივად განახლდეთ და ჩვენს დედის მკვრდს მტკიცედ მივეყრდნეთ!

იოსებ არიფთაძე

წარმოდგენები პროვინსიაში

დღეს ყველაფერი აწეწილ-დაწეწილია. პირველი ალაგი სიტყვიერებამ დაიკავა. საქმიანობა თითქმის არ იყოს საჭირო რევოლიუციის დროს. იქნება ასე ესმოდეს ბევრ თავისუფალ მოქალაქეს თავისუფლება. საბრალო თავისუფლება! როგორ ჯიჯგნიან მას?! ყველას თავისებურად ესმის ის: მოქვიფეს ნუ უშლით თავისუფლად ქვიფს, ჩარჩს ყველფეს; ქურდს ჯიბეგრობას... ეს თავისუფლების შეზღუდვააო. ასეთი თავისუფლების მოტრფიალენი და ძალით მაძიებელნი ძლიერ გამრავლდნენ ამ იდეურად სანეტარო და სინამდვილეში ხშირად მწუხარების მომგვრელ დროში.

ძნელი შეიქნა დღეს მუშაობა ისევ ისე იმ ორი-ოლე მოწინავე პირთათვის, რომელთაც კბილებით უხდებოდა ბრძოლა ხალხის ინტერესებისთვის. უწინ ისინი მთელი თავიანთი არსებით ოპოზიციაში ედგენ ხალხის მტერთ, დღეს მძიმე დროა და მართვა გამგეობის სათავეში ისინი მოქცეულან, შეუგნებლ მასას ისინი ჰგონია ყველაფერ უბედურების მიზეზი. აქ ისევ ლომებრ პროპაგანდაა საჭირო, ძნელია ეს.

პრაქტიკული სამუშაო დღეს უზომოა, დიდია მარტო ამას ვერ აუვა ჩვენი მოწინავენი. აქ უნდა ამოძრავდეს ყველა ის მანქანა, რომელიც შეგნების გასაგრელებლად ბრუნავდა. ასევე უნდა მოიქცეს ჩვენი თეატრი, რომელიც ერთი ასეთი მანქანათაგანია, ის კი დღეს უმოქმედობას მოუტყავს.

ჩვენი დამსახურებული მსახიობნი დღეს ვერ ემსახურებიან სცენას შესაფერად. დღეს არ ემარა მარტო ქალაქის კოლოფში მოქცევა. აქ შეგნებულიც მეტია და პროპაგანდაც ხშირი, საჭიროა სხივის შეტანა სოფელში, იქ, სადაც ასე მძიმედ იდგამდა ფეხს ჩვენი სასცენო ხელოვნება.

დღეს საუკეთესო სასცენო ძალებს ბათუმში, ქუთაისში და თბილისში მოუყრიათ თავი. ისინი ამ ქალაქებს არ შორდებიან. აქ ისინი კმაყოფილდებიან მოწადეთა აუდიტორიით, ეს სასურველია, მაგრამ უფრო საჭიროა ჩვენმა სცენამ ცხოვრების პირ-ვარამი უფრო დღეს გაურკვიოს ხალხს გინემ ოდესმე. ამას თვითონ უნდა სჩადიოდენ ჩვენი მსახიობნი. დღევანდელი უძრობა არ ეპატრევათ მათ, მათ მიერ გამართულ წარმოდგენებს ყმელგან აღტაცებით ეგებებიან, დარბაზში ტრევა არაა; ნივთიერი დანაკლისი არ მოუვათ. ესენი კი პროვინციის ძახილზედ არ მოდიან.

ჩვენ ვიცით ასეთი შემთხვევა: აბაშის მოწინავე ბმა თხოვეს ქუთ. მსახ. დაედგათ აქ წარმოდგენა, მაგრამ ამაზე დრამ. საზ. გამგეობამ უარი უთხრა,—შეუსრულებელი პირობები შექმნა აქ არ არის საქმის სიყვარული. დრამ. საზ. თავჯდომარე კი კრებებზე ქუხს ხელოვნების შევლაზე. სიტყვა სხვაა, საქმე სხვა... დღეს პროვინციის დამახტბა არ უნდა სჭირდებოდეს ჩვენს მსახიობებს. თორემ პროვინციის სცენა არა მკითხვებს რჩებოთ, დანცემა ავტორიტეტი თეატრისა.

ჩვენს სიტყვას გაიგებს და განიცდის ყველა მსახიობი, რომელსაც ქართული სცენა უყვარს. ჩვენი გეწამს, რომ ბევრ მსახიობს უყვარს ჩვენი სცენა. თუ ეს ასეა, საჭიროა ქალაქებში გამოიყოს მოძრავი დასი, რომელიც დროგამოშვებით შემოივლის პროვინციას და თანამედროვე პიესებს დადგამს. დღეს ამის მოთხოვნა იღებოდა მომწიფებულია.

არ. ფანცულაია



გიორგი ბეჟანისძე ტატიშვილი

ქართლში დატრიალდა ბუღ სოციალ-დემოკრატების გამოსაშვებო მიწა-წყლიდან გამოკერების ნენ არა მხოლოდ მება, რომე- თავდა-სხნაუნნი, არამედ სოფლის მოჭირნსუფლე ინტელექტუალური, რას ბევრ მათგანს მსუ დაუბნელეს ერთი ასეთი ლტოლვი-თაგანი სემორე გამოსატყული ვ ბტატიშვილი, ძმა ჩვენი ტრობილი მწერელ-მოღვაწე ქალის ნიშა ეფთიანისა, მწერლო-

ბაში სოფლის მეკობრის სასკელით გამოსულო გიორგი ბეჟანის ძე 18 წ. საქციზო მოსკელედ მსახურებდა, მაგრამ ანავე დროს არ იფიქრებდა სანოგადო-სოფლის საქმეს; სოფ წრომში გამოიყენა წყალი, გახსნა სკოლა მომსახურებელი კოლბერატეგი, რ მლის გამკეობის თავმოკომარედაც უკანასკელს დრომდე იყო ამ კოლბერტიემს საზას მისცა 7300 მან. მოკევა, გააშენა სანდელი საჩიენებელი ამბრეკული ვაზის და ხელის ბადი, შექმნა სანერგე სეუერძნე ვაზი, უოკელ ზაფხულბობით სოფელში დაწავდა ვაზის მეუნელი და სოფელეებს სწავლიდა ხელს უფასოდ ურიგება თავისგან შედკენილ-დაბეჭდილ „ამბრეკულ ვაზის მოკლას მოსუნების მრატეული დაკეობს მისივე შრომიც გაი. სსნა კოლბერატეები დირში მოხასშ, ქვენატკატნაში; სად. გომსუ დაარსა სარბიონი კოლბერატეგი, კავშირი და ქანება შეუძნა, დღეს 200000 მკენ დირბული, რომელის გამკეობის თავმოკდომარედაც თვითვე იყო; აქეს დაარსბ მევენახეთა აზს. „საქართველო“ ა.გ. დალაქიშვილით მონაწილეობს ხანროთო საქმებში და სს. უკანასკნელ დროს განიზრახა სოფელში ააჩნო აკოთ, რისთვისაც საგანბე მით ინჟინერიც ლეო დიასშიძე გაწვივა, რომელმაც გეგმა დახარჯთ-აღრიცხვა შეადგანა, მაგრამ ნაძი. რალებმა არ ატალეს სახელი გაუჩნტეებს და მოკვა მაგირები ჩამოართვეს და იგიც იძულებული

იყო ნაამაგდარ სოფელნოთა რჩევით სოფელს
 გასცილდა, სადაც მრავალი საზოგადო საქმე
 დარჩა გაუკეთებელი. ნა ძირალებმა ეს არ აკმ-
 რეს და და შეეცურა, მოკლე ღერ ციციშვი
 ლის დაკრძალვის დროს ერთმა ხეველო პირმა,
 მიტინგზე ლეოს მოკვლაც კი დააბრალო რომ
 ,მითი ჯერ ერთი ერთი ლეოს ნამდიელ მკვლე
 ლთა ვინაობა და ეფარნ, - მეორეს ესეც მოეკა
 ლეონა, მაგრამტრუ ცილის მწამებელი ხალხს
 შესძრა—პროვკატორი ხარო.

სოფელო, გონს შოდი, იცან მტერი და
 მოყვარე... გ. ბ. ტატიშვილი ჯერ არც ისეხნი
 ერის, რომ სოფელს კიდევ ბევრი სარგებლობა
 არ მოუტანას...

შ ა რ ა დ ა

სახელი რუსთა მეფისა
 სასახლის გამზრუნელ-დამხმობის,
 უპირველესი მიზეზიც
 ვინც იყო არეულობის,
 შუა გააპეთ, წინასა
 სამს ანბანს თუ მითავაზებთ,
 ერთ ჩვენ კარგ მგონის ფსევდონიმს
 გამოსაცნობათ ავადებთ.
 კიდევ იმ ფრინველის სახელსა,
 რომელიც მგალობელია,
 სულ მთელად თუ შეეღვეით
 იქნებთ მწყობობელია.
 შეიღვე სახელი მისხენეთ
 ნაყოფის იმ ხეხილისა,
 მწიფე შაისში რაც არის
 თითქმის ოთხ ნაირ ფერისა.
 სახელს აქვს ორი მარცვალი
 ბოლო ცე, თქვენ პირველია,
 შარადაც გავგითავდებთ
 თქვენ მიხვდით თუ რომელია.
 ვარდენ ყიფიანი



სოფ. ზვარეთში ყველიერის შაბათს ტომარაძის
 სახლში წარმოადგინეს „დედინაცვალი“ რამიშვილისა
 და „ჩათრევის ჩაყოლა სჯობიან“ მონაწილეობდნენ
 დანი ნადა და კატო ბაქრაძის ასულნი, ძმანი დავ. და
 ივ. ტრიფონისძენი ბაქრაძენი, გალინა ტრიფონის ას-
 ული, ელუკია და ვასილ კირვალიძე, „დედინაცვალი“
 მწყობრად ჩაატარეს კარგები იყვნენ ნადეჟა ბაქრაძის

ასული (დედინაცვალი) ედუკია ტომარაძის ასული (მო
 ლოზანი და ბებია) და ძმანი ბიქრაძენი. (ხარლამპრე
 და მალხაზი) და ვასილ კირვალიძეც (ნიკო ომიანიძე)
 თუმცა სრულიად მოუშხადებელი გამოვიდა სხვის მა-
 გივრად. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. შემო
 სავალი ას მანეთს აღემატება, რომელიც უნდა მოხმარ
 ლეს „ხეორზე“ ხიდის გაკეთებას. ამავე ხიდისათვის ამ
 საღამოს ვასილ კირვალიძემ შემოსწირა ასი მანეთი
 ზვარეთის და სეითის მცხოვრებლები ჟღერმეს მაღლო-
 ბას სწირავენ შემომწირველსა და წარმოდგენაში მონა
 წილეთ, აგრეთვე ყველა იმათ, ვინც ამ საკეთილო საქ
 მეს ხელი შეუწყო. შემო რაქველი გლეხი

ძველსენაკშიც, 4 მარტს ადგილ. სცენისა და სამ-
 კითხველოს სასარგებლოდ, სცენის მოყვარე მოწაფეთა
 მიერ მასწავლებელ ქალთა ვ. ცეკვაშვილისა და ივ.
 გაბუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნა ვ. გუ-
 ნიას ისტ. დრ. „დაძმა“ რაიც მხატვრულად ჩაატა-
 რეს. აღსანიშნავია ვ. ცეკვაშვილი მარინეს როლში.
 ხალხი ბლომად დაესწრო და მეტად ნასიამოვნები და
 აშალა. მაღლობის ღირსია ყველა სცენის მოყვარე, გან
 საკუთრებით ამ წარმოდგენის გამგე მინადორა ბოხუასი
 უსურვებთ წინსვლას. დამსწრე

წერილი კიბეში

ახალი ქართული დრამატული დასის შედგ-
 ენას შეუდგა გიორგი ალექ. ჯაბაძარი, პარიზის ოდე
 ონის თეატრის რეჟისორად ნამყოფი, რომელიც დიდი
 ხანი არ არის, რაც საზღვარ გარეთიდან დაბრუნდა.
 დასმა ეწერებინა ინტელიგენტური ძა ჯები—სტუდენ-
 ტები. ჯიჯერობით ორმოცამდე კაცი და ქალია ჩაწე
 რილი. დასი ქართ. დრამ. საზ-ის თაონობით იმოქმე
 დებს. ნიჭთიერ მხრით საქმე უზრუნველ ყოფილია: ენ-
 მარება ქართველ ფუნდარტა ჯგუფი. მსახიობთ წი
 ური ჯამაგირები მიეცემა. მთავარი რეჟისორი—გ. ა.
 ჯაბაძარი, რეჟისორები ვ. შალიკაშვილი და კ. შათი-
 რიშვილი, რეჟისორის თანაშემწე—შაქრა ბერიშვილი.

ქართველ მსახიობთა კავშირის წევრთა წლი-
 ური კრება დაიწყო მარტის 7 და გაგრძელდა 12-დე.
 კრება საქმიანი იყო. იყო ორი მიმდინარეობა: საბჭოს
 წინააღმდეგი და ნომხე. ბოლოს შეთანხმდენ. კრების
 მსვლელობის დროს კავშირში წვერად ჩაეწერა ქუთა
 ისის დრამ. საზ—ბა, რომელის წარმომადგენელ გამო-
 გზენელი იყო აკაკი ფაღავა ამ გარემოებამ ქუთაისის
 ინციდენტის და ზოგიერთ საკამათო საგანთა გამოკვლე
 ვას ხელი შეუწყო. კავშირის დაარსებიდან ათი თვის
 განმავლობაში კავშირის შემოსულია 33000 მ. გასავა-
 ლი—1500 მ. წმინდა დაჩინილია 18000 მ. კავშირს
 აუღია თეატრის ასაშენებლად ლატარიის გამართვის
 ნებართვა, უზრუნვეა სასაღილოს მოსაწყობად, დახმა-
 რება აღმოუჩენია უმუშევარ წვერთათვის, შუამდგომ-
 ლობა აღუძრეს საცენზორო კომიტეტიდან პიესების
 არქივის დასაბრუნებლად, სახემწიფო თეატრის ასაღე-

ბათ და სხ. სახეობა კრებამ მადლობა გადაუხადა ნაყოფიერ მუშაობისათვის სთხოვა პროცენტების აღე ბაში უფრო თავ გამოდებით იმოქმედოს, შესცვალა წესი პროცენტების აღებისა, შეასწორა მუხლები სეზონის წარმოების შესახებ და კომისიას გადასცა წესდების წარმოების მუხლები, ჭრავსულ საბჭოს შესწირა 1000 მან. საპენსიოდ გადასცა 1200 მან. მიცვალებულ მსახიობთა სამართა გასამშვენებლად—1300 მან. პიესების პროცენტისათვის—500 მ. პროვინციაში სეზონების მოსაწყობად—5000 მ. სესხის გადასცემათ—2600მ. ძირითად თანხაში—5000 მ. ჯამაგირი მოუმატა თავჯდომარეს, საქმის მწარმოებელს, ბუხვალტერს, საბჭოს დაავალა კანცელარია სათანადოდ მოაწყოს. კრებამ საბჭოს დაავალა თბილისსა და ქუთაისში მოაწყოს სეზონები, გამოვიდეს თავის სახელით თბილისში რეჟისორად მოიწვიეს განთქმული კ. მარჯანიშვილი. ბოლოს მოხდა საბჭოს არჩევნები. თავჯდომარეთ ერთ ხმით შალვა დადიანი (რომელმაც მაინც კენჭის ყრა მოითხოვა), წევრებათ ახალი ვ. სვ. მესხი, გ. ფრონის-პირელი და ა. გაჩეჩილაძე (მანდალ) საბჭოში დარჩნენ. აბაშიძე, ვ. შალიკაშვილი და გ. იშხნელი, საპროფესიო სასამართლოში ახლები—კ. ანდრონიკაშვილი და ვ. ბარელი. ძველები ვ. -ბაშიძე, ნ. დავიდაშვილი და ა. კორიშვილი, სარევიზიო კომისიაში ს. ახვლედიანი, ი. ივანიძე და აბრ. ტურაშვილი, კანდიტატებიდ და. ჩხეიძე და ვ. ურუშაძე. კრებამ მადლობა გამოუცხადა კრების თავჯდომარეებს ვ. გუნიას და ივანიძეს.

ვასო აბაშიძის 40 წ. მოღვაწეობის იუბილე გამართება ქართულ კლბში აპრ. 15

კომპოზიტორი და არაყიშვილი მოსკოვიდან თბილისს დაბრუნდა: კომპოზიტორი სამშობლოში დარჩება სამუსიკო ასპარეზზე სამუშაოდ.

ქართულ მუსიკოს-მომღერალ კავშირმა კომპ არაყიშვილი პიიწვია და მოკლე ხანში მისი ნაწარმოებთა ხელაშობს გამართავს მისივე მონაწილეობით.

სელოვნილი გუნდი სდგება კომპ. ნ. სულხანიშვილის ხელმძღვანელობით საქმეს თაონხობს ქართ საშენდრო კავშირი.

მუსიკის თეორიისა და სოლთფეჯიოს კურსებს ჰმართავს ვიოლონჩლისტი ალ. აბაშიძე.

თეატრი და ცხოვრება ნიკოლოზ ჩიქოვანმა თავისი ხარჯით მთელის წლით გაუწერა სოფ. ჯოღოვის (სამეგრელოში) სამკითხველს; მიქელგაბრიელის—ან. მიქელაიშვილმა, ა. ქორიძემ და ლ. ქორაიამ ბოლქ. სახ. **მ წ ი გ ნ მ ბ რ მ ბ ა**

ლიქცია მსახიობთა და ორატორთათვის, გიორგი ალ ჯაბადრისა, მივიღეთ. წიგნის შინაარსი: წინასიტყვაობა, ხმა, სუნთქვა, გამოთქმა, ნიშნების დასხვა კითხვის დროს, მნიშვნელოვანი სიტყვა, სწორე კილო, ხმის ინტონაცია. ეს წერილები წინად (1910) წ. ჩვენს ჟურ თეატრი და ცხოვრებაში იბეჭდებოდა, წიგნი დაბეჭდილია საუცხოვო ქაღალდზე შეიცავს 68 გვ. და ღირს 2 მ. 25 კ. ამ წიგნში შემოტანილია სხვათა შორის, ორ ბრჯგუანი

„ავტონომია და ფედერაცია“, „თელა ლლონტის თხუხულება 1 წიგნი მასალნი. დიდი ტანის წიგნია, 333 გვ დაბეჭდილია. საშუალო ქაღალდზე, ჰეტორის სურათით, ღირს 4 მან. წერილები ფრიალ საყურადღებოა სხენებული კითხვის შესასწავლიად

ს. ერთაშინდელის „ოხლო სამარე“ დაიბეჭდა და იყიდება ფას. 75 კ.

მომავალი, ობოლი მუშის ლექსები, პოემები და დრამ ნაწარმოები, გამოცემა უშანგ ელოვანს მოზოგილი ტანისა, მშვენიერად გამოცემული, ავტორის სურათით, ბიოგრაფით და ივ. გომართელის კრიტიკული მიმოხილვით, ღირს 4 მან.

სამლომონარო ფურცელი

ცნინვალში არეულობის დროს მოკლეს გორის მაზრის კომისარი გ. მაჩაბელი. ცნობილი სოც.—დემ პარტიული მოღვაწე სანდრა კეცხოველი და სხ.

ვეტრე ჩხაიძე, ლანჩხუთის სცენის მოყვარე, მწერლობაში „დიოგენე“ სახელით ცნობილი, სოც.—დემ. საგანგებო სარეგულაციო რაზმის წევრი, აქსტაფაში, მოკლეს ჯანსონის მატარებ.ზე.

ცეზ. ანტ. კუი, რუსთა გამოჩენილი უხუცესი კომპოზიტორი, გარდ. თებერვლის 28, დაბადებიდან 82წ. დასწერა ოპერები: „რატკლიფი“, „ანჯელო“, კავკასიელი ტყვე; „მანდრანის შვილი“, „ბაჭრეშვილი“, „ქანი ფიფი“, და სხვა მრ. სამუსიკო ნაწარმოები.

ფრანკ ვედეკანდი, ნემენცთა სახელგანთქმული მგოსანი და დრამატურგ გარდ. მარტის 9, დაბადებიდან 54 ან. მის კალამს ეკუთვნის პიესები: „გაუფხულის ნიადვარი“ (ქართულად ნათარგმნია), „შენიერების საწმენოცობა“, პანდორას ყუთი“, „მიწის სული“ (ლეღე) და სხ

ვემოქოლება

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ — ს ფონდის გასაძიერებლად შემოსწირეს:

მის ბაშარულმა—100 მან. •ლ. გრ. უგუხოვმა—80 მან ვ. კირვალაძემ—15 მ. დავ. გაბრუაშვილმა—15 მ. ს. რაზმაძემ—10 მ. ხუთ-ხუთი მანეთი: აშხანაგმა ას-ემ, თორაძემ, ივ. კოლელიშვილმა გ. ნასარაძემ, ხვედელიანმა, ნიკო ლეყავამ; სამ-სამი: ა. გაბრუაშვილმა, ს. ქორიძემ, ბ. გამარეკელმა, ვლ. სვ ყიფიანმა, დმ. გელაშვილმა, მინდიაშვილმა, ნიკ. ლაზარეშვილმა, ნიკ. კეძალმაძემ, დომ. თევზაძემ, ვას. რატოშვილმა, სერ. ოსაძემ, ორ-ორი მან: ბეზარაშვილმა, ჯგანაშვილმა, ი. ხვედელიანმა, ს. გოგელიძემ, ვას. ჭავჭავაძემ, დომ. მესხმა, დავ. წიკლაურმა, მეღ. ქურდაძემ, გ. თაბორიძემ, ი. მჭედლიშვილმა; მანათ-ნახევარი გ. მჭედლიშვილმა, თითო მანეთი: ვ. ხალილაშვილმა, ია. ხუნაძემ, აკ. კამკამიძემ, ნ. მემპარიაშვილმა, ვ. ხალდასტანიშვილმა, გ. ჟურულმა, სვ. ლომიძემ, ნინო კანდელაკმა, ს. იორაშიშვილმა, პარკაძემ, ბასიშვილმა, თეთრაძემ, მაზურომ, კანდელაკმა, ზეინალოვმა, რცხილაძემ, მიი-სურაძემ, კლიმიაშვილმა, ცხადაძემ, თინიკოვმა, ლოვაძემ, სვანიძემ, მაჭავარიანმა, ტიტინაძემ, ჯალალანია, ოქროაშვილმა, შ. ცინისთოვმა ა. მამედოვმა, დ. იმედაშვილმა, ნ. გაშაკიძემ, ევ. ჟვანიამ; ათ-ათი შაური: ალ. ფურცელაძემ, შავლიშვილმა. ბერიშვილმა, ალ. ლაზარეშვილმა, ბიდიანიძემ, სულ 306 მან.

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით. რედ.

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად ღირს 15 მ. ნახევარი წლით—9 მ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაში ბაზრის ქუჩა № 20, სახლი არჯვენაძის, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ხაზინის თავში, მეწიფეების რიგზე. ფოსტით—**Тифлис, ред. „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБ“ „Иосифу Имедашвил**

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი